



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რა გავლენას ახდენს სმენადაქვეითებულ მოსწავლეებში მშობლებისა და
მასწავლებლების თანამშრომლობა მათ აკადემიურ მოსწრებაზე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად
განათლების ადმინისტრირების პროგრამა - სკოლის მიმართულება
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი - გიორგი გახელაძე

სტუდენტები: ზარნაძე ნინო

წიფურია ეკატერინე

ნაჭყებია რიტა

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშროში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ზარნაძე ნინო

წიფურია ეკატერინე

ნაჭყებია რიტა

მადლობა

გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც აქტიურად იყო ჩართული ჩვენს კვლევაში, რადგან მათი თანადგომა, მხარდაჭერა და დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესის წარმართვაში.

მადლობას ვუხდით კვლევის კომისიის წევრებს: სასწავლო პროცესის მენეჯერს -ხათუნა მუქერიას, სკოლის ფსიქოლოგს - ეკა დოლიაშვილს, სპეც.მასწავლებელს - რუსუდან ბარბაქაძეს, მეტყველების თერაპევტს - ნათია როსტიაშვილს და მასწავლებელს - ლია შაორშაძეს. ასევე დიდი მადლობა, სკოლის დირექტორ ქალბატონ თამარ მამსიკაშვილს

აგრეთვე, დიდ მადლობას ვუხდით ინკლუზიური განათლების სპეციალისტს ქალბატონ თამარ ისაკაძეს ინტერვიუსთვის და იმ გაწეული დახმარებისთვის, რომელიც ჩვენ გზამკვლევად იქცა აღნიშნული კვლევის პროცესში.

განსაკუთრებული მადლობა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი გახელაძეს, იმ თანადგომის, გაზიარებული ცოდნისათვისა და რეკომენდაციებისათვის, რომელსაც გვაძლევდა კვლევის ყველა ეტაპზე და გვეხმარებოდა კვლევის პროცესში წარმოქმნილ პრობლემების სწორი გზებით მოგვარებაში.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია პრაქტიკული კვლევა, რომელიც ჩატარდა ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში. კვლევამ მოიცვა სკოლის პედაგოგების მიერ დასახელებული პრობლემის შესწავლა და კვლევის ფარგლებში ვეცადეთ, შეგვემუშავებინა მეთოდები, რომლებიც პრაქტიკის გაუმჯობესების გზით, პედაგოგებს საშუალებას მისცემდათ წარმოქმნილი პრობლემები აღმოეფხვრათ ან შეემცირებინათ.

დასახელებულ საკითხებს შორის, გამორჩეული პრობლემა იყო სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა, რაც განაპირობებდა მათ დაბალ აკადემიურ მოსწრებას და საგაკვეთილო პროცესის მნიშვნელოვან შეფერხებას.

მოგეხსენებათ, რა საკვლევი თემის სენსიტიურობა, კვლევა დაეყრდნო თვისებრივ მეთოდოლოგიას.

თვისებრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, მოხდა პრობლემური საკითხების შესახებ მონაცემთა შეგროვება. იმის შემდეგ, რაც დამუშავდა მონაცემები, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ინტერვენციები, რომლებიც მიმართული იყო სკოლის მიერ პრიორიტეტად დასახული პრობლემის მოგვარებისკენ, ან შემუშავებული მეთოდების დახმარებით შემცირებისკენ.

Abstract

At the previous work are shown the practical research, which was carried out at Tbilisi public school N64. The research includes to study the problems which were mentioned by the school teachers. During the research we tried to work out the methods which could help the teachers to cut down the problems or reduce them.

Among the mentioned issues the main problems was the involvement of the parents whose children are unable to hear well (a hard of hearing), that caused their low educational-academic level and importantly interfered the lesson process.

Due to the sensitivity of the research subject, the investigation was based on the qualitative methodology.

With the help of the usage of the qualitative research, it was possible to collect the dates about the problematic issues. After processing the dates, the corresponding intervention was planned and fulfilled, that was directed to arrange the priority school problems, or to reduce them with the help of the worked out methods.

საკვანძო სიტყვები: სმენადაქვეითებულ მშობელთა ჩართულობა, მასწავლებელი, სპეც.მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, პრაქტიკული კვლევა.